



## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№1023

2016 წლის 14 სექტემბერი

ქ.ლაგოდეხი

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ა(ა)იპ „„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრის“ წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“და „ე.ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნას ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრის“ /საიდ. კოდი: 433102821/, წესდების მე- 3 /ცენტრის საქმიანობის მიზნები/ მუხლში, კერძოდ:

წესდების მე-3 მუხლს /ცენტრის საქმიანობის მიზნები/ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“ პუნქტი:

- ჟ) საფეხბურთო კლუბის შექმნა, რომლის მიზანია:
- ჟ.ა) საფეხბურთო გუნდის ჩამოყალიბება;
- ჟ.ბ) ფეხბურთის განვითარება, პოპულარიზაცია;
- ჟ.გ) ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარებულ საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობა;
- ჟ.დ) საფეხბურთო ტურნირის ორგანიზება- ჩატარება;
- ჟ.ე) სპორტულ - გამაჯანსაღებელი საქმიანობა;
- ჟ.ვ) კვალიფირებული ფეხბურთელების მომზადება;
- ჟ.ზ) სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული სამუშაოების განხორციელება;
- ჟ.თ) საქართველოს რეგიონებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან სპორტულ- მეცნიერულ და სხვა სფეროში თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვარა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- ჟ.ი) კავშირების დამყარება ქვეყნის და უცხოურ საფეხბურთო კლუბებთან, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობა.

**მუხლი 2.** კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განათლების კულტურის მეცნა დაცვის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის“ უფროსს თამაზი ღონისძიებების შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

**მუხლი 3.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 4.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



არლო ჯამბურია

დანართი  
დამტკიცებულია  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის  
2014 წლის 9 ოქტომბრის N1193 ბრძანებით

განხორციელებულია ცვლილება  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის  
2015 წლის 20 იანვრის N 2/80 ბრძანებით

განხორციელებულია ცვლილება  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის  
2016 წლის 5 იანვრის N 14 ბრძანებით

განხორციელებულია ცვლილება  
ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის  
2016 წლის 14 სექტემბრის N1021 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლაგოდების მუნიციპალიტეტის „ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრი“

## წესდება

### მუხლი 1 ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლაგოდების მუნიციპალიტეტის „ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრი“ (შემდგომში - „სამსახური“) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზანია ლაგოდების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ერთიანი

ლიტიკის გატარების უზრუნველყოფა. განსაკუთრებული სპორტული უნარ-ჩვევების მქონე ადამიანების მოძიება და მათთან საორიენტაციო მუშაობის ჩატარება.

1.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

1.3. სამსახურის დამფუძნებელია ლაგოდების მუნიციპალიტეტი.

1.4. სამსახური შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.5. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

## მუხლი 2

### სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

- 2.1 სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით”, ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.2 სამსახურის სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრი“.
- 2.3 სამსახურის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ლაგოდეხი კოსტავას ქუჩა N1
- 2.4 სამსახურს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, ააბანკო ანგარიშები და სხვა.
- 2.5. „ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრი“ მესამე პირებთან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, უფლება აქვს დადოს ხელშეკრულებები, გარიგებები და კონტრაქტები.
- 2.6. სამსახურის ელექტრონული მისამართია: lagodekhiyouth@gmail.com

## მუხლი 3

### სამსახურის საქმიანობის მიზნები

სამსახურის მიზნებია:

- ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსაკუთრებული სპორტული უნარ-ჩვევების მქონე ადამიანების მოძიება და მათთან საორიენტაციო მუშაობის ჩატარების განხორციელება.
- ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ერთიანი ხელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა, მასში შემავალი ინფრასტრუქტურის დამიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების მომზადება.
- გ) ახალგაზრდებისა და მოსწავლეთა მშობლების მოთხოვნათა საფუძველზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული წრეების შექმნა.
- დ) ოპტიმალური პირობების შექმნა სხეულის გაკაჟების, ორგანიზმის პარმონიული განვითარების, სპორტული უნარ-ჩვევების, გონივრული გართობისა და დასვენების, ლიდერთა, პატრიოტთა აღზრდის საფუძველზე საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეში მონაწილეობისათვის.
- ე) ახალგაზრდებისათვის მრავალმხრივი წიჭის, მიდრეკილების განვითარება, სპორტული ინტერესების გაზრდის და საქართველოსა და მსოფლიო სპორტის ხელოვნების გაცნობა.
- ვ) ქართული სპორტის მივიწყებული დარგების ასაღორძინებლად მუშაობის გააქტიურება.
- ზ) ახალგაზრდულ და სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება.

თ) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში მუნიციპალიტეტის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია და რეალიზაცია.

ი) სპორტსმენთა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის სწორად დაგეგმარება.

კ) ახალგაზრდებისა და სპორტსმენების მოთხოვნათა საფუძველზე გაერთიანებების გახსნა.

ლ) ახალგაზრდობისა და სპორტის ეროვნული სიმდიდრის დაცვა და პოპულარიზაცია, სფეროში დასაქმებულთა მოღვაწეობის წარმოჩინებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

მ) ახალგაზრდობის გაჯანსაღებისა და სპორტის განვითარების პროგრამების შემუშავება, დანერგვა და შესრულება.

ნ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი სამუშაოებისა და სპორტსმენთა სხვადასხვა სახის ჩემპიონატებისათვის მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობა.

ო) სახელმწიფო და არასახელმწიფო ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტულ ორგანიზაციებთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნულ კომიტეტთან თანამშრომლობა.

პ) ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდა.

ჟ) საფეხბურთო კლუბის შექმნა, რომლის მიზანია:

ჟ.ა) საფეხბურთო გუნდის ჩამოყალიბება;

ჟ.ბ) ფეხბურთის განვითარება, პოპულარიზაცია;

ჟ.გ) ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარებულ საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობა;

ჟ.დ) საფეხბურთო ტურნირის ორგანიზება- ჩატარება;

ჟ.ე) სპორტულ - გამაჯანსაღებელი საქმიანობა;

ჟ.ვ) კვალიფიცირებული ფეხბურთელების მომზადება;

ჟ.ზ) სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული სამუშაოების განხორციელება;

ჟ.თ) საქართველოს რეგიონებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან სპორტულ- მეცნიერულ და სხვა სფეროში თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვარა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

ჟ.ი) კავშირების დამყარება ქვეყნის და უცხოურ საფეხბურთო კლუბებთან, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობა.

#### მუხლი 4 სამსახურის მართვა

4.1 სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანმადებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი.

4.2 სამსახურის დირექტორის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

4.3 სამსახურის დირექტორი:

ა) ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს სამსახურის საშტატო განრიგს და სტრუქტურას.

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს სამსახურის თანამშრომლებს;

- გ) მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;
- დ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
- ე) მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს, /აგრეთვე მოთხოვნის შესაბამისად/ გაწეული სამუშაოს შესახებ.
- ვ) პასუხისმგებელია ორგანიზაციისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ ხარჯვაზე; ხარჯების მიზნობრიობის შეცვლის შემთხვევაში ვალდებულია წინასწარ შეუთანხმოს გამგებელს და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
- ზ) პასუხისმგებელია სარგებლობაში არსებული ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;
- თ) ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწესს.
- ი) განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის მიმართულებებს, შეიმუშავებს წლიურ ბიუჯეტს და მუნიციპალიტეტს წარუდგენს დასამტკიცებლად.
- კ)თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.
- ლ) კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას ჟანამშრომელთა საქმიანობაზე.
- მ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 4.4 სამსახურის კონტროლს ახორციელებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი აუდიტორის მეშვეობით.

## მუხლი 5 ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

- 5.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია/ ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.
- 5.2. დამფუძნებელის გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მენტიდან.
- 5.3. ლიკვიდაციის პროცესს ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

## მუხლი 6 სამსახურის სამეურნეო საქმიანობა, საკუთრება და შემოსავლები

- 6.1. სამსახური ვალდებულია დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო და სამეურნეო საქმიანობა, საფინანსო აღრიცხვა-ანგარიშგება. სამსახურის სამეურნეო საქმიანობის შედეგები აისახება წლიურ ანგარიშში.

6.2. სამსახურს უფლება აქვს მიიღოს ფულადი სახსრები და გრანტები წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

6.3. სამსახურის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახური ანგარიშვალდებულია გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად გამოყენებაზე მუნიციპალიტეტის წინაშე.

6.4. სამსახურს ქონება გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.5. სამსახური უფლებამოსიალია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას.

6.6. სამსახურის ბალანსიდან უიმედო დავალიანებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისისა და დანაკარგების, მოძველებული, გაცვეთილი და კაპიტალური სამუშაოების ხარჯების ჩამოწერა და დავალიანების ამოღება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.7. ცენტრის ქონებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N56 დადგენილებით „ლაგოდების მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესით“

## მუხლი 7 დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ლაგოდების მუნიციპალიტეტის „ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრის“ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

7.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3. წესდებაში ცვლილების და დამატების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც წარმოადგენს წესდების განუყოფელ ნაწილს.

7.4. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.